ხელშეკრულება № 20
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი 26 02 2015 წელი

ერთის მხრივ, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში – „შემსყიდველი") წარმოდგენილი მერის ზურაბ ჯირკველიშვილს სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს „ ფლაგ არტი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის რომან დარჩიაშვილის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით დროშების შესყიდვა (კოდი CPV კოდი 35821000), შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა

2 შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია:
2.1.1 საქართველოს სახელმწიფო დროშა (ზომით 1მ X 1,50მ), გარე მოხმარების, ბეჭდვა ციფრული, სუბლიმაციით, ორგვირისტიანი შემოკერვით, დროშის მარცხენა მხარიდან მიკერებული მყარი ზონარით, მთელ სიგრძეზე კაუჭებისათვის განკუთვნილი მიკერებული სამაგრებით (ლუვერსებით) დროშის დაბოლოებებში პერპენდიკულარულად (მარჯვენა კუთხეში) თანდაყოლილი აეროდინამიური ზონრებით - 12 (თორმეტი) ცალი
2.1.2 საქართველოს სახელმწიფო დროშა (ზომით 2მ X 3მ), გარე მოხმარების, ბეჭდვა ციფრული, სუბლიმაციით, ორგვირისტიანი შემოკერვით, დროშის მარცხენა მხარიდან მიკერებული მყარი ზონარით, მთელ სიგრძეზე კაუჭებისათვის განკუთვნილი მიკერებული სამაგრებით (ლუვერსებით) დროშის დაბოლოებებში პერპენდიკულარულად (მარჯვენა კუთხეში) თანდაყოლილი აეროდინამიური ზონრებით - 7 (შვიდი) ცალი
2.1.3

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;
3.1.1 საქართველოს სახელმწიფო დროშა (ზომით 1მ X 1,50მ), გარე მოხმარების, ბეჭდვა ციფრული, სუბლიმაციით, ორგვირისტიანი შემოკერვით, დროშის მარცხენა მხარიდან მიკერებული მყარი ზონარით, მთელ სიგრძეზე კაუჭებისათვის განკუთვნილი მიკერებული სამაგრებით (ლუვერსებით) დროშის დაბოლოებებში პერპენდიკულარულად (მარჯვენა კუთხეში) თანდაყოლილი აერო დინამიური ზონრებით (სამოცი) -60 ლარი;
3.1.2 საქართველოს სახელმწიფო დროშა (ზომით 2მ X 3მ), გარე მოხმარების, ბეჭდვა ციფრული, სუბლიმაციით, ორგვირისტიანი შემოკერვით, დროშის მარცხენა მხარიდან მიკერებული მყარი ზონარით, მთელ სიგრძეზე კაუჭებისათვის განკუთვნილი მიკერებული სამაგრებით (ლუვერსებით) დროშის დაბოლოებებში პერპენდიკულარულად (მარჯვენა კუთხეში) თანდაყოლილი აეროდინამიური ზონრებით -250 (ორასორმოცდაათი) ლარი;
3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა – 2470 (ორი ათას ოთხასსამოცდაათი) ლარი საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯველა გადასახადის გათვალისწინებით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღე;
5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ თბილისი, კალოუბნის ქ №40 ;
5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა);

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მიხეილ ნონიკაშვილი –ქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამეურნეო-ტექნიკური განყოფილების უფროსი)

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველთან საქონლის მოწოდების შემდგომ მოხდება 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეში ;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადისგანსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდანგამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 აპრილამდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას და საქონლის მიღება-ჩაბარებას (გორის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხვედელობის სამსახურის შესყიდვების ხარისხის კონტროლის დაცვის განყოფილების მიერ ხარისხის სათანადო დადებითი დასკვნის შემდგომ) შემსყიდველის მხრიდან უზრუნველყოფს მიხეილ ნონიკაშვილი-ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამეურნეო-ტექნიკური განყოფილების უფროსი;

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15..1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი მიმწოდებელთან, ორი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერია	შპს „ფლაგ არტი"
მისამართი: ქ.გორი სტალინის გამზ. №16	მის. ქ. თბილისი, კალოუბნის ქ №40
ს/კოდი 218 083 767	ს\კოდი 206160018
მიმღების დასახელება-ხაზინის ერთიანი ანგ.	ბანკი ს.ს „ საქართველოს ბანკი"
მიმღები ბანკი; სახელმწიფო ხაზინა	ბ/კოდი BAGAGE22
ხაზინის კოდი TRESGE22	ა/ა GE72BG0000000894356101
მიმღების სახაზინო ანგარიში 300837499	
ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერი ზურაბ ჯირკველიშვილი	შპს „ფლაგ არტი" დირექტორი რომან დარბაისელი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. გორი 26 02 2015 წელი.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ დროშების შესყიდვასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შპს „ფლაგ არტი "-სთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერი ზურაბ ჯირკველიშვილი

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ნინო წეწვაძე

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის სამეურნეო
ტექნიკური განყოფილების უფროსი მიხეილ ნონიკაშვილი

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვების
განყოფილების უფროსი მურაზ შიოშვილი